

ქმედების მცირე მნიშვნელობის კვალიფიკაციის თავისებურებები თანამედროვე სისხლის სამართალში

თათია დოლიძე

სამართლის დოქტორი, ევროპის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

საკვანძო სიტყვები: პასუხისმგებლობა, სასამართლო, ზიანი

ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება სისხლის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტია, რომლის შესახებ კოდექსი ერთადერთ ჩანაწერს მოიცავს. შესაბამისად ამ ინსტიტუტის დრმა განმარტებისათვის უმჯობესია საკითხი დამუშავებულ იქნას სხვადასხვა ქრილში.

საკითხი აქტუალურია, იმდენად რამდენადაც ის დაკავშირებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლის – დანაშაულის პირველ ელემენტთან ქმედებასთან. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საკითხი დამუშავებულია იურიდიულ ლიტერატურაში, მაინც ნაწილობრივ ბუნდოვანი რჩება მცირე მნიშვნელობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები, რამაც ცალკეულ შემთხვევაში შესაძლებელია წარმოშვას კვალიფიკაციის პრობლემები.

წინამდებარე კვლევის მიზანია გაანალიზებულ იქნას თეორიული მასალა, არსებული კანონმდებლობა, სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება და ეროვნული სასამართლო პრაქტიკა, რათა ქმედების მცირე მნიშვნელობის შეფასებისთვის მიღებულ იქნას თეორიული დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში ჩვენ მივმართეთ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სააგენტოს აღნიშნული მუხლით კვალიფიკაციის დეტალური სტატისტიკისთვის, თუმცა ბოლო წლებში ამ მუხლით კვალიფიკაციის სტატისტიკა არ არსებობს. აღნიშნულმა გარემოებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა საკითხის დეტალური კვლევის აუცილებლობაზე.

სიახლე არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ სისხლის სამართალში ამოსავალია თავად ქმედება. ქმედება არის სისხლის სამართლის სამ-საფეხუროვანი სისტემის პირველი ნიშანი, რომლის გარეშეც ყველა სხვა ნიშანს მნიშვნელობა ეკარგება. იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად აღნიშავენ, რომ პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებები სისხლის სამართალში აგებულია ორკვალიან სისტემაზე, ე.ი. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები და ბრალის გამომრიცხველი გარემოებები.¹ რთულია ბოლომდე გავიზიაროთ აღნიშნული მოსაზრება. ცხადია, კოდექსი დაწვრილებით აღწერს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს, მაგრამ სისხლის სამართლის კოდექსის მეშვიდე მუხლი ასევე შეიცავს დათქმას ქმედების მცირე მნიშვნელობაზე. ამიტომ უფრო სწორი იქნება ითქვას, რომ ქართული კოდექსი იცნობს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა სამ ჯგუფს.

ქმედების მცირე მნიშვნელობა როგორც ერთ ერთი უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი მჭიდრო კავშირშია სისხლის სამართლის „Ultima Ratio“ პრინციპთან. აღნიშნული პრინციპი მოითხოვს, რომ ქმედებათა კრიმინალიზაცია მოხდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში და მხოლოდ იმ ქმედებების, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე, აუტანელია საზოგადოებისათვის. სწორედ ამაშია სისხლის სამართლის ფრაგმენტული ბუნება.² ქმედების მცირე მნიშვნელობა აღნიშნული პრინციპის ერთგვარი გაგრძელება-

ცაა – ინსტიტუცია მოითხოვს უმნიშვნელო ქმედებების შემთხვევაში არ იქნას გამოყენებული ისეთი ბასრი ინსტრუმენტი, როგორც სისხლის სამართალია.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მეშვიდე მუხლის მეორე ნაწილი პრაქტიკულად ერთადერთი ჩანაწერია, რაც გვხვდება ქმედების მცირე მნიშვნელობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობაში. აღნიშნული მუხლი ადგენს: „დანაშაულს არ წარმოადგენს ისეთი ქმედება, რომელიც, თუმცა ფორმალურად შეიცავს ამ კოდექსით გათვალისწინებული რომელიმე ქმედების ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდება მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას,³ ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე“. მაშასადამე მუხლი აღნიშნავს ტერმინს „ზიანი“. ეს გახლავთ ქმედების მცირე მნიშვნელობის შეფასების ერთ ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა. ცხადია, მუხლი არ აზუსტებს, კონკრეტულად რა ტიპის ქმედებებზე შეიძლება გავრცელდეს აღნიშნული დათქმა, თუმცა იქმნება შთაბეჭდილება, რომ მეტწილად ეს უნდა ეხებოდეს ისეთ ქმედებებს, რომელთა შემთხვევაში ასეთი ზიანის დათვლა, გაზომვა შესაძლებელია. მაგალითად, რთულია იმსჯელო ზიანზე, მაშინ როდესაც საქმე გვაქვს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, უფლებების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებთან. გაცილებით მარტივია ზიანზე ემსჯელობა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შემთხვევაში. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – როგორ უნდა გაიზომოს ზიანი? საიდან ჩაითვლება ზიანი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საპირწონედ. აღნიშნულ კითხვაზე ერთიანი უნივერსალური პასუხი არ არსებობს, თუმცა გარკვეული ინსტრუმენტების გამოყენება მის შესაფასებლად მაინც შესაძლებელია.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს ის,

1 ტურავა მ. 2011. დანაშაულის მოძღვრება თბილისი, გვ. 323-325.

2 Asworth A. 2013, Principles of criminal law, p.p.50-52.

3 საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ელექტონული ბმული: www.matsne.gov.ge

რომ ქმედების მცირე მნიშვნელობის შემთხვევაში ზიანი ფასდება მისი ობიექტური, რეალური საზომით და არა იმ პირის პერსპექტივით, ვისაც მიადგა აღნიშნული ზიანი. თეორიულად შესაძლოა ნივთის ღირებულება 5 ლარს არ სცდებოდეს, მაგრამ კონკრეტული პირისთვის ნივთი შეუფასებელი იყოს, იმის გამო რომ ნივთი ოჯახური რელიქვიაა, ძვირფასი ადამიანის სახსოვარია და ა.შ.⁴ სუბიექტური ღირებულების ქრილში არანაკლებ არსებითია ზიანის გაზომვა პირის ქონებრივი მდგომარეობის ქრილში. მაგალითად, სოციალურად დაუცველისათვის 10 ლარი შესაძლოა გაცილებით არსებითი ზიანი იყოს, ვიდრე უზრუნველყოფილი, მაღალ შემოსავლიანი პირისათვის. ნებისმიერ შემთხვევაში, ზიანი ფასდება ობიექტურად და არა სხვადასხვა სუბიექტური ქვეტექსტის გათვალისწინებით. მაშასადამე, ზიანის შეფასების სუბიექტურ ფარდობითობას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

კვალიფიკაციისას საკვანძო მნიშვნელობის საკითხია ქმედების ჩამდენი პირის სუბიექტური მხარე. სსკ-ის მეშვიდე მუხლის მეორე ნაწილით კვალიფიკაციის ამოსავალი პირობაა, რომ პირის განზრახვა არ გასცდეს მცირე მნიშვნელობას, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე გვექნება დანაშაული. მაგალითად, თუ პირი მიზნად ისახავს საფულის ამოცლას, იმ მიზნით რომ იქ ფული ეგულებს, მაგრამ რეალურად საფულეში 5 თეთრი აღმოჩნდება, საქმე გვექნება დასრულებულ ქურდობასთან და არა მცირე მნიშვნელობასთან.⁵

რაც შეეხება უშალოდ შეფასებას, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი არ იძლევა ერთიან საზომს, მაინც შესაძლებელია გამოვიყენოთ გარკვეული სამიზნე ნიშნულები. პირველ რიგში, ერთ-ერთი ასეთი ნიშნულია სსკ-ით განმარტებული მნიშვნელოვანი ზიანი. კოდექსის 177-ე მუხლის შენიშვნა ადგენს უნივერსალურ წესს, რომ მნიშვნე-

ლოვან ზიანად ჩაითვალოს ზიანი, რომელიც აღემატება 150 ლარს. მეორე მხრივ, ამ შემთხვევაში ერთგვარი საზომად შეიძლება გამოდგეს საარსებო მინიმუმის ოდენობაც, რომელსაც ადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური ყოველთვიურად. დღეის მდგომარეობით ეს გახლავთ 206.1 ლარი.⁶ მაშასადამე, ქმედების მცირე მნიშვნელობის შეფასებისას სასურველია გათვალისწინებულ იქნას ეს ორი ნიშნული.

მოქმედი კოდექსის პანდექტური ბუნებიდან გამომდინარე, კოდექსი მოიცავს ზოგად და სპეციალურ ნორმებს. ქმედების კვალიფიკაციის ერთ-ერთი უმთავრესი წესია ისიც, რომ ზუსტი კვალიფიკაციისას უპირატესობა ენიჭება სპეციალურ ნორმებს. მაშასადამე, მეშვიდე მუხლის მეორე ნაწილი ზოგადი ნორმაა, რომელსაც ერთგვარი სპეციალური შემადგენლობებიც აქვს კოდექსში. მაგალითად, სსკ 187 მუხლი პასუხისმგებლობას აწესებს ნივთის დაზიანებისა და განადგურებისათვის მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ქმედებას მნიშვნელოვანი ზიანი მოყვა. ასეთი მნიშვნელოვანი ზიანის არარსებობის შემთხვევაში, გამოირიცხება ქმედების შემადგენლობა და შესაბამისად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაც.⁷

საპროცესო სამართლებრივი გაგებით, ამ გარემოების არსებობა წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, პირის უდანაშაულოდ ცნობის საფუძველს.

გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსი საქართველოს კოდექსის მსგავს ჩანაწერს არ ითვალისწინებს მცირე მნიშვნელობის შესახებ. გერმანული კოდექსით ეს არ გახლავთ მატერიალური სამართლის ინსტიტუტი. თუმცაღა საპროცესო ნორმები ითვალისწინებენ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებ-

4 დონჯაშვილი თ.2002. საქართველოს სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი გვ. 154.

5 იქვე.

6 საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ელექტრონული ბმული: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/49/saarsebo-minimumi>

7 ტურავა მ. 2011. დანაშაულის მოძღვრება თბილისი, გვ. 61.

ლობას იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილი ქმედება მეტად უმნიშვნელოა.⁸ მსგავს პრაქტიკას იზიარებს საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსიც. მეტიც, ფრანგული კოდექსი შეიცავს დანაშაულის საკმაოდ ზოგად დეფინიციას და ის მითითებას აკეთებს კოდექსის სპეციალურ ნორმებზე (ე.ი. კერძო ნაწილის ნორმებზე, კონკრეტული დანაშაულების აღწერილობაზე).⁹ ასეთივე მიდგომაა ევროპის ქვეყნების დიდ ნაწილში.

ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრებაც იმის თაობაზე, რომ უმჯობესია სისხლის სამართლის კოდექსი არ მოიცავდეს მცირე მნიშვნელობის თაობაზე დათქმას და ეს საკითხი სრულად მოწესრიგდეს პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების ქრილში.¹⁰ ჩვენ ვერ დავეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებას, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს გაამართლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში მრავლად იქნებიან მაღალკვალიფიციური, შესაბამისი თეორიული ცოდნით აღჭურვილი, სათანადო მომზადების მქონე დამოუკიდებელი კადრები. სხვა შემთხვევაში ასეთი სენსიტიური საკითხის გადანდობა მხოლოდ საგამოძიებო ორგანოებზე დიდ რისკს შეიცავს, რომ ისედაც საკმაოდ რეპრესიული სისტემა კიდევ უფრო რეპრესიულ ხასიათს მიიღებს ან პირიქით, საქმე გვექნება ბოროტად გამოყენებასთან.

საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსი დანაშაულის ელემენტების სრულად განსხვავებულ სისტემას იცნობდა. საბჭოთა კოდექსში ძირითადი აქცენტი უშუალოდ ქმედებასა და მის საზოგადოებრივ საშიშროებაზე კეთდებოდა. საბჭოთა კოდექსიც იცნობდა დათქმას ქმედების მცირე მნიშვნელობის შესახებ, თუმცა დანაშაულის კონსტრუქციის რადიკალური სხვაობის გამო განსხვავებული იყო მისი შეფასება.

საბჭოთა კოდექსის მოქმედების პირობებში, ქმედების მცირე მნიშვნელობის შეფასება საზოგადოებრივი საშიშროების ქრილში ხდებოდა. მაშინდელი სამართლის თეორიტიკოსები მიიჩნევდნენ, რომ მცირე მნიშვნელობის შემთხვევაში, ქმედება არსებობს მხოლოდ ფორმალურად და მოკლებულია ყოველგვარ საზოგადოებრივ საშიშროებას, რის გამოც გამორიცხულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, რადგან საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის აუცილებელი ელემენტია.¹¹ პროფესორი თინათინ წერეთელი ასევე აღნიშნავდა იმასაც, რომ ქმედების მცირე მნიშვნელოვნად შეფასება მოსამართლის მიერ უნდა მოხდეს.¹²

რთულია არ დავეთანხმოთ ქართული სისხლის სამართლის ფუძემდებელ თინათინ წერეთელს – ქმედების მცირე მნიშვნელობა ნამდვილად მოსამართლის შესაფასებელია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. სწორედ ამიტომ, წინამდებარე ნაშრომში მიმოვიხილავთ ქმედების მცირე მნიშვნელობის შესახებ არსებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს ქრონოლოგიურად, რათა დასკვნის სახით წარმოვადგინოთ ერთიანი შეჯერებული პოზიცია.

კ.კ-მ მოიპარა ლარნაკი, რომელშიც იყო 19 ცალი ყვავილი. გლდანი ნაძალადევის რაიონული სასამართლოს, 2002 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით მას მსჯავრი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული ქურდობისთვის. აღნიშნული გადაწყვეტილება მხარის მიერ გასაჩივრებულ იქნა საოლქო სასამართლოში და ამავე სასამართლოს სააპელაციო პალატამ 2003 წელს გააუქმა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სწორედ მეშვიდე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე. სასამართლომ იმსჯელა და შეაფასა, რომ მოპარული ყვავილების ფასი 3 ლარს შეა-

8 იქვე. გვ. 62

9 Penal code of French Republic, p.p. 1-2. Official link: https://www.legislationline.org/download/id/3316/file/France_Criminal%20Code%20updated%20on%2012-10-2005.pdf

10 ტურავა მ. 2011. დანაშაულის მოძღვრება თბილისი, გვ. 315-316

11 შავგულიძე თ. სურგულაძე ლ. 2002. საზოგადოებრივი საშიშროების გამომრიცხავი გარემოებანი, თბილისი გვ. 19-20.

12 წერეთელი თ. 2006. საზოგადოებრივი საშიშროება და მართლწინააღმდეგობა სისხლის სამართალში გვ. 76-77

დგენდა, რაც სასამართლოს მიერ ჩაითვა-
ლა მცირე მნიშვნელობად.¹³

დ. ფ. ლ.ფ. და ი.კ. ახორციელებდნენ
თევზჭერას ელექტროდენით და დაიჭირეს
მხოლოდ 5 ცალი თევზი. აღნიშნული ქმე-
დებაზეც იმსჯელა საოლქო სასამართლოს
სააპელაციო პალატამ და ჩათვალა, რომ
მართალია ქმედება ნამდვილად შეიცავს
სსკ-ის 300-ე მუხლის პირველი ნაწილით
გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნე-
ბს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო
არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც
აუცილებელს გახდიდა პირთა სისხლის-
სამართლებრივ პასუხისმგებლობას. საა-
პელაციო პალატის ეს გადაწყვეტილება სა-
ქართველოს პროკურატურამ გაასაჩივრა
საქართველოს უზენაეს სასამართლოში და
მოითხოვა მისი გაუქმება, თუმცა უზენაესმა
სასამართლომ გადაწყვეტილება უცვლე-
ლი დატოვა.¹⁴

2004 წლის 25 ივნისს, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი დ.ბ. მივიდა დაბა თიანეთში არსებული ი.ჭ.-ის კუთვნილ მაღაზიაში და გამყიდველს მოსთხოვა ერთი ბოთლი ლუდი უფასოდ. ამაზე გამყიდველმა ა.ა.-მ მას უარი უთხრა, რის შემდეგაც დ.ბ. გაბრაზდა, გამყიდველს დაემუქრა, გატეხა სასმელების ვიტრინა, თვითნებურად აიღო ერთი ბოთლი ლუდი „ყაზბეგი“ და მიიმა-
ლა. ლუდის ღირებულება შეადგენდა ორ ლარსა და 30 თეთრს. თიანეთის რაიონულმა სასამართლომ პირი უდანაშაულოდ სცნო კოდექსის მეშვიდე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე. ბრალდების მხარემ გაასაჩივრა თიანეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატაში. აღნიშნული სასამართლოს 2005 წლის 13 ივნისის განაჩენით გაუქმდა თიანეთის რაიონული სასამართლოს გამამართლებელი განაჩენი და დ.ბ. დამნაშავედ იქნა ცნობილი ძალადობით ჩადენილი ძარცვისათვის

(178-ე მუხლის მესამე ნაწილის „დ“ ქვეპუნ-
ქტი). იმდენად რამდენადაც პირი იხდიდა პირობით მსჯავრს, განაჩენთა ერთობლიობის წესით წინა სასჯელის მოუხდელი ნაწილს დაემატა ახალი სასჯელი და საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლითა და 1 თვით. აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა და მოითხოვა პირის გამართლება. თავის მხრივ ბრალდების მხარეც აყენებდა საკასაციო ინსტანციაში თავის მოთხოვნას და სასჯელის ღმობიერების გამო მოითხოვდა საქმის დაბრუნებას ხელახალი განხილვისთვის. საკასაციო განხილვაზე ბრალდების მხარე აღნიშნავდა, რომ იმ შემთხვევაში თუ ქმედება გამოიწვევდა სერიოზულ ზიანს, საქმე გვექნებოდა მნიშვნელოვან ზიანთან, რომლის არარსებობა არ გამორიცხავს ძარცვის შემადგენლობის არსებობას, ეს იქნებოდა უბრალოდ მაკვალიფიცირებელი ნიშანი. საქმეში ფიგურირებს ის გარემოებაც, რომ აღნიშნული პირი სხვადასხვა დროს სამჯერ არის ნასამართლევ. ადვოკატი თვლიდა, რომ სასამართლომ აქცენტი გადაიტანა არა ქმედების შეფასებაზე, არამედ მსჯავრდებულის პიროვნებაზე, რის გამოც მიიღო უსამართლო გადაწყვეტილება. საკასაციო პალატამ შეისწავლა რა საქმის მასალები, არ დააკმაყოფილა ადვოკატის მოთხოვნა, თუმცა არც ბრალდების მხარის შუამდგომლობა გაიზიარა:

- ნასამართლობა წინათ ჩადენილი დანაშაულებისათვის უკვე გაქარწყლებულია, ამიტომაც ამ ნიშნით პირის პასუხისმგებლობის დამძიმება შეუძლებელია
- ქმედების მცირე მნიშვნელობის შეფასება ვერ მოხდება მხოლოდ მითვისებული ნივთის ღირებულებით, რადგან სასამართლო გადაწყვეტილების ერთ-ერთი მთავარი მიზანია პირის ინდივიდუალური სამართლებრივი გაკიცხვა, მოცემულ შემთხვევაში პირი მეოთხედ ჩადის დანაშაულს. ასევე დანაშაული ჩადენილია ძალადობისა და მუქარის ფორმით

13 საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის განჩინება №პ 0115, თარიღი: 11.03.2003 წელი

14 საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი სისხლის სამართლის საქმეებზე. 2002, №3 გვ. 257-259

- სასამართლო, იჩენდა რა მის მიმართ ლმობიერებას, ბოლო სასჯელიდანაც პირობით ვადამდე გაათავისუფლა, რამაც, როგორც ჩანს, ვერ გამოიღო სასურველი შედეგი და არ იქნა მიღწეული სასჯელის მიზნები.¹⁵

შესაბამისად, სასამართლომ უცვლელი დატოვა შეფარდებული სასჯელი, მცირედით შეცვალა მხოლოდ ქმედების კვალიფიკაცია, დამამძიმებელი გარემოებების ქრილში. წინამდებარე საქმეში ერთადერთი საგულისხმო ფაქტია თავად ზიანის შეფასება. მაშინ როდესაც დაცვის მხარე აპელირებს ლუდის ფასზე, ბრალდება კი მას პასუხობს იმით, რომ პირი წარსულშიც ნასამართლევი არაერთხელ, ყურადღების მიღმა რჩება მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება. კერძოდ, ლუდის ბოთლის ფასი, ცხადია, არ აღემატება 2.30 ლარს, მაგრამ პირმა ასევე დაამსხვრია ვიტრინის მინა, რომლის ღირებულება გაცილებით დიდია, თუმცა ამ დეტალის აქცენტირება საქმის განხილვისას არ მომხდარა.

2003 წლის შემოდგომაზე, დ.ქ-მ ხარაგაულის რაიონის ერთ ერთ სოფელში მცხოვრები რ.ხ.-ის საცხოვრებელი ეზოდან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად მიითვისა სამი ცალი ალუმინის ქვაბი, რომელიც ბაზარში გაყიდა 3 ლარად. მოგვიანებით, უკვე 2004 წლის 27 მარტს, საღამოს 6 საათზე, ისევ დ.ქ-მ მოქალაქე ნ.ო.-ს მოპარა 50 ლარი. აღნიშნული ქმედებებისათვის ქუთაისის საოლქო სასამართლოს მიერ პირი მსჯავრდებულ იქნა 177-ე და 1821 მუხლებით. საკასაციო საჩივრის განხილვის მომენტში 1821 მუხლი უკვე ამოღებული იყო მოქმედი კოდექსიდან, თუმცა არ მომხდარა ქმედების დეკრიმინალიზაცია, შესაბამისად, მსგავსი ქმედებების კვალიფიკაცია ხდებოდა სხვა საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულით.

საკასაციო პალატამ მიიჩნია:

- ქვაბების მითვისების ეპიზოდში, მართალია, სახეზეა სსკ 177 მუხლით გათვალისწინებული ქმედება, მაგრამ ის არსებობს მხოლოდ ფორმალურად, რადგან ქვაბების ღირებულებამ შეადგინა სამი ლარი (არც წინასწარი და არც სასამართლო გამოძებისას ქვაბების სხვა ფასი არ ყოფილა დადგენილი), ასევე ქვაბები დაუბრუნდა მეპატრონეს, ამიტომ აღნიშნულ ეპიზოდში სისხლის სამართლის საქმე უნდა შეწყდეს ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო;
- ქვაბების დატაცების ეპიზოდის გაუქმების გამო, ქმედების მეორე ეპიზოდი აღარ ჩაითვლება არაერთგზისობად. აღნიშნულ ეპიზოდში შეწყდა სისხლის სამართლის საქმე დაზარალებულთან შერიგების საფუძველით.

საბოლოო ჯამში საკასაციო პალატამ გაათავისუფლა პირი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.¹⁶

2003 წლის ივლისის შუა რიცხვებში გ. ა. შეხვდა მის თანაუბნელს, ნაცნობ ა. ფ.-ს და უთხრა, რომ მის საცხოვრებელ კორპუსში, გურამიშვილის გამზირის მეორე კორპუსში განთავსებულია შპს „ბედნიერება“, რომელსაც ოთახებში აქვს სპორტული სავარჯიშოები (ტრენაჟორები), სადაც შეიძლება იყოს შავი და ფერადი ლითონები. მან შესთავაზა ა.ფ.-ს, მოეპარათ შავი და ფერადი ლითონების შემცველი ნაწილები და ჩაებარებინათ ჯართის მიმღებ პუნქტში. ა. ფ. შეთავაზებულ წინადადებაზე დაეთანხმა და, თავის მხრივ, დაუკავშირდა 1986 წელს დაბადებულ ლ.ა.-ს, რომელთან ერთად არაერთხელ შეაღწიეს შპს „ბედნიერების“ ოთახში და ფარულად დაეუფლნენ და გაიტაცეს ტრენაჟორების 30 ნაწილი, ორძელის ბლითების კომპლექტი, 2 ცალი 10- კილოგრამიანი გირი, სულ, 4000 აშშ დოლარის საერთო ღირებულებით. გატაცებული ნივთები მათ გადაამალეს იქვე, ახლოს, ეზოში. მეორე დღეს ა. ფ. და გ. ა.

15 საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის ნომერი: 2კ-339აპ.-05 განჩინება 339 აპ. 11.10.2005 წელი.

16 საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის ნომერი: 2კ-386აპ.-04 განჩინება 386 აპ. 13.01.2005 წელი.

შეხვედნენ ერთმანეთს, გატაცებული საგნები ავტომანქანით მიიტანეს ჯარტის მიმღებ პუნქტში და 42 ლარად ჩააბარეს. აღნიშნული მოქმედებით მსჯავრდებულებმა შპს „ბედნიერებას“ მიაყენეს მნიშვნელოვანი ზიანი. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მიერ აღნიშნულ პირებს შეეფარდათ თავისუფლების აღკვეთა შავი და ფერადი ლითონების დაუფლებისთვის, მათვე დაეკისრათ დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რომელმაც შეადგინა 4000 აშშ დოლარი. აღსანიშნავია ისიც რომ გ.ა.-ს საქმეში ასევე ფიგურირებს 2004 წელს ჩადენილი ხულიგნობა. რაიონული სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრა მსჯავრდებულმა გ.ა.-მ და ითხოვდა შავი ლითონების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების ნაწილში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებას ქმედების მცირე მნიშვნელობის საფუძველით. სააპელაციო სასამართლომ გადააკვალიფიცირა პირის ქმედება სსკ 177 მუხლით გათვალისწინებული ქურდობით. სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული მცირე მნიშვნელობაზე აპელირება, რადგან ნივთების ღირებულება შეადგენდა 4000 აშშ დოლარს, ის რომ ეს ქონება გაცილებით იაფად იქნა რეალიზებული მსჯავრდებულის მიერ, არ წარმოადგენს სასამართლოსათვის არსებით არგუმენტს.¹⁷

2015 წლის 2 მაისს, დაახლოებით 20 საათზე, წერეთლის ქუჩის №2-ში მდებარე სს „ოცნების“ მაღაზიიდან მ.ბ. და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 25 ნოემბრის განაჩენით ქურდობისათვის ნასამართლევი გ.ბ. ფარულად დაეუფლნენ 19 ლარად ღირებულ ყავა – ნესკაფეს. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის განაჩენით გ. ბ. – დაბადებული 1985 წელს, ნასამართლევი, – და მ. ბ. დაბადებული 1984 წელს, ნასამართლევი, – საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე ცნობილ იქნენ უდა-

ნაშაულოდ და გამართლდნენ. გაუქმდა პირთა მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – გირაო.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ქუთაისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა და ითხოვა გამამართლებელი განაჩენის გაუქმება და გამართლებულების დამნაშავედ ცნობა, შესაბამისად, ქმედებათა კვალიფიკაცია სსკ 177-ე მუხლით, შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ არ დაასაბუთა, თუ რატომ მიიჩნია მათ მიერ ჩადენილი ქმედება მცირე მნიშვნელობის მქონედ და მისი მსჯელობა, რომ გ. ბ. და მ. ბ.-ს მიერ ჩადენილი ქმედება, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, წარმოადგენს ბრალის გამომრიცხავ გარემოებას, არ შეესაბამება მითითებული მუხლის მოთხოვნებს, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში სახეზეა წარსულში ნასამართლევი პირების მიერ დამამძიმებელ გარემოებებში – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას ჩადენილი ქმედება, რის გამოც იგი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მცირე მნიშვნელობის მქონედ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 13 ივლისის განაჩენით გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 24 დეკემბრის გამამართლებელი განაჩენი, ქმედება შეაფასა როგორც 177 მუხლით გათვალისწინებული ქურდობა. მსჯავრდებულთა ადვოკატმა გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და მოითხოვა საქმის შეწყვეტა სსკ-ის მეშვიდე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველით. უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა აღნიშნული მოთხოვნა შემდეგი არგუმენტაციით:

- მეშვიდე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ცნებაში არ იგულისხმება მხოლოდ მატერიალური ზიანი და იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სახით, ხოლო იმისათვის, რომ დადგინდეს ქმედების მცირე მნიშვნელობა, საკმარისი არ არის აპელირება მართლოდენ

17 საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის ნომერი: 2კ-777აპ.-0604 განჩინება 777 აპ. 28.02.2007 წელი.

მატერიალური ზიანის ოდენობაზე. მითითებულის დასადგენად აუცილებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასება ერთობლივად – ჩადენილი ქმედების ხასიათისა და სიმძიმის, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავეს პიროვნებისა და მისი წარსული ცხოვრების გათვალისწინებით

- დანაშაული ჩადენილი დღისით, საჭაროდ, ჯგუფის მიერ, მსჯავრდებულები წარსულში ნასამართლევი არიან
- მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ წარსულში მათ მიმართ გაავრცელა საშეღავათო ღონისძიებები და ორივე მათგანს თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი შეუცვალა პირობითი მსჯავრით, ისინი არ დაადგინენ გამოსწორების გზას და კვლავ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული დამამძიმებელ გარემოებებში
- ისინი ფარულად დაეუფლნენ ერთ ქილა ყავას, რომელიც, ბუნებრივია, ვერ ჩაითვლება ადამიანის სასიცოცხლო პირობებისათვის აუცილებელ პროდუქტად, რის შესახებაც თვით მსჯავრდებულნიც არ აპელირებენ.

აღსანიშნავია ისიც, რომ უშუალოდ მითვისებული ნივთის ღირებულებაზე სასამართლოს არ უმსჯელია.¹⁸

2006 წლის 23 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ყაჩაღობისთვის ნასამართლევი გ. გ. 2016 წლის 18 თებერვალს, დაახლოებით 14:40 საათზე, მოძრავ № საქალაქო ავტობუსში, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ს.ს-ს ხელჩანთიდან 25 ლარად ღირებულ საფულეს, რომელშიც მოთავსებული იყო თანხა – 10 ლარი. გ. გ-ს დანაშაულებრივი ქმედებით ს. ს-ს მიადგა 35 ლარის ქონებრივი ზიანი. ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლომ ჩათ-

ვალა, რომ მიყენებული ზიანი იყო მცირე მნიშვნელობის და საქართველოს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გ.გ-ს ცნო უდანაშაულოდ. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ბრალდების მხარემ სააპელაციო წესით. სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის მოთხოვნა და დაპირი დამნაშავედ სცნო სსკ 177-ე მუხლით გათვალისწინებული ქურდობისთვის. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ „შესაძლოა ზიანი ფაქტობრივად 1 ლარს არ აჭარბებდეს, მაგრამ იგი მაინც არ ჩაითვალოს მცირე მნიშვნელობის ზიანად. ამ თვალსაზრისით, ყურადღება სწორედ ქმედების ხასიათსა და მასში გამოხატულ მართლსაწინააღმდეგო ნებას უნდა მიექცეს და არა – მხოლოდ ზიანის მათემატიკურ გამოსახულებას. ბუნებრივია, კანონმდებელი ქმედების დანაშაულად აღიარებისას ითვალისწინებს საშიშროებას, რაც მოითხოვს მასთან ბრძოლას სისხლისსამართლებრივი სასჯელის მეშვეობით. შესაძლებელია, ქმედების საშიშროების ხარისხი ზოგ შემთხვევაში არ აღწევდეს იმ მინიმუმს, რაც აუცილებელია მისი ჩამდენის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. ქმედების საშიშროების დადგენისათვის კი მხედველობაშია მისაღები ხელყოფის ობიექტის ღირებულება, ხელყოფის ინტენსივობა, მისი განხორციელების სტადია, პირის მონაწილეობის ხარისხი დანაშაულში, ზიანის მოცულობა, დანაშაულის ჩადენის დრო, ადგილი და სხვა.“ პალატამ აღნიშნა ისიც, რომ პირის განზრახვა არ იყო 10 ლარის დაუფლება, მან არც იცოდა, რა თანხა იდო საფულეში, მას ამოძრავებდა სხვისი ნივთის და არა კონკრეტულად 10 ლარის დაუფლების განზრახვა.¹⁹

მ.წ.-მ შპს „ორბის“ უფლებამოსილი წარმომადგენლის (იხ.სანოტარო აქტი N01025) ნ. მ-ს დავალებით ხსენებული ორგანიზაციის დირექტორ ი. მ-ს ნაცვლად, ხელი მოაწერა 2014 წლის 22 აპრილით დათარიღებულ წერილზე შპს „ორბის“ საზო-

18 საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის ნომერი: 23-556აპ, განჩინება 556აპ-16 აპ. 7.03.2017 წელი.

19 საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის ნომერი: 23-164აპ.-17, თარიღი: 17.07.2017 წ.

გადოების კუთვნილი 10 სატელეფონო ნომრის სხვა სატელეკომუნიკაციო კომპანიაში პორტირების შესახებ. ბათუმის საქალაქო სასამართლომ აღნიშნული პირი უდანაშაულოდ სცნო წარდგენილ ბრალდებაში (სსკ-ის 362 მუხლი). საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბრალდების მხარემ, რომელიც ითხოვდა განაჩენის გაუქმებასა და მ. წ-ს დამნაშავედ ცნობას საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2017 წლის 21 ივლისის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ „თუნდაც დადასტურებულიყო მ. წ-ს მიერ წარდგენილი ბრალდების ფორმულირებით დანაშაულის ჩადენა, მიზანშეუწონელი იქნებოდა მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება” შემდეგ გარემოებათა გამო:

- მ. წ-ს სადავო დოკუმენტის ხელმოწერით რაიმე მატერიალური უპირატესობა არ მიუღია
- მ. წ-ს მიერ სადავო დოკუმენტზე ხელმოწერით არც ერთ კომპანიას არანაირი მატერიალური ზიანი არ მისდგომია, პირიქით, კომპანიას მიეცა საშუალება, გაუმჯობესებული პირობებით ესარგებლა სატელეფონო ნომრებით
- მ.წ-მ სადავო დოკუმენტზე ხელი მოაწერა ნათესავის კომპანიის დირექტორ ი. მ-ს მინდობილი პირის – ნ. მ-ს თხოვნით
- სსკ-ის მეშვიდე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული ზიანის ცნებაში არ იგულისხმება მხოლოდ მატერიალური ზიანი და იგი შეიძლება გამოიხატოს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სახით, ხოლო იმისათვის, რომ დადგინდეს ქმედების მცირე მნიშვნელობა, აუცილებელია საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასება ერთობლი-

ვად – ჩადენილი ქმედების ხასიათისა და სიმძიმის, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, დამნაშავის პიროვნული მახასიათებლებისა და მისი წარსული ცხოვრების გათვალისწინებით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა ბრალდების მხარემ. უზენაესი სასამართლოს მიერ შემოწმდა საჩივრის დასაშვებობა და საქმე არ იქნა მიღებული განსახილველად.²⁰

2015 წლის 22 სექტემბერს, დაახლოებით 05:15 საათზე, ვ. ჯ-მ უკანონოდ შეაღწია ერთ-ერთი პირის კუთვნილ მაღაზიაში, საიდანაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა 15 ლარად ღირებულ ერთ ბოთლ არაყს. საქალაქო სასამართლომ ვ.ჯ. სცნო უდანაშაულოდ წარდგენილ ბრალდებაში. ხოლო სააპელაციო სასამართლომ გააუქმა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება პირი დამნაშავედ სცნო სსკ 177-ე მუხლით გათვალისწინებული ქურდობის ჩადენაში. დაცვის მხარემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. უზენაესმა სასამართლომ არ მიიჩნია დასაშვებად პირის საჩივარი, აქვე განმარტა, რომ ის სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტაციას – 15 ლარზე აპელირება ამ შემთხვევაში არ იქნება სამართლიანი, რადგან ქმედება უნდა შეფასდეს სრულად, მისი ჩადენის ხერხის, ფორმისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით.²¹

წარმოდგენილი მცირე კვლევის სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის დასკვნები.

უფრო სწორი იქნება ავლნიშნოთ, რომ თანამედროვე სისხლის სამართალი პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა სამ ძირითად ჯგუფს იცნობს. პირველ რიგში, ეს არის ქმედების გამომრიცხველი გარემოებები, რომელიც მოიცავს მეშვიდე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინე-

20 საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის ნომერი: №510აპ-17, თარიღი: 22.02.2018 წ.
 21 საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქმის ნომერი: №154აპ-18, თარიღი: 01.08.2018 წ.

ბულ ქმედების გამომრიცხველ გარემოებას.

ქმედების მცირე მნიშვნელობის ფარგლებში ზიანის შეფასებისას, გარდა კოდექსით გათვალისწინებული მნიშვნელოვანი ზიანისა (150 ლარი), აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ქვეყანაში არსებული საარსებო მინიმუმი. რადგან აღნიშნული მინიმუმი წარმოადგენს ცვალებად მარჯვენებელს, რომელიც ქვეყანაში არსებული სოციალურ ეკონომიკური პროცესების ადექვატურია.

მატერიალური სამართლის ნორმებით მცირე მნიშვნელობის განმარტება არ არის თანამედროვე ევროპული კანონმდებლობის ტენდენცია, აღნიშნული მემკვიდრეობა საქართველოს ჯერ კიდევ საბჭოთა სისტემის სამართლის კოდექსიდან ერგო. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ გავიზიარებთ ლიტერატურაში გამოთქმულ პოზიციას იმის შესახებ, რომ საკითხი წმინდა პროცესუალურ ქრილში იქნას გადაყვანილი. ეს პოზიცია მისაღებად მხოლოდ ისეთ გარემოში, სადაც საგამოძიებო ორგანოების თანამშრომლები მასიურად ფლობენ შესაბამის ცოდნას, გამოცდილებას და შეუძლიათ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება, რათა თავიდან ავიცილოთ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და სხვა მძიმე შედეგები.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, იმ ქმედებებში, სადაც მხოლოდ ზიანის შეფასება საკმარისია 3 ლარამდე, ზიანი არ იქნა მიჩნეული სისტემის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საპირწონე ზიანად. ანალოგიურად გახლდათ 5 ცალი თევზის უკანონოდ დაჭერის შემთხვევაშიც. თუმცა აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში საქმე არ გახლდათ დატვირთული სხვა დამატებითი გარემოებებით და საკმარისი აღმიჩნდა მხოლოდ ზიანის შეფასება.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ასევე ცხადყოფს, რომ ზიანი არ ფასდება მხოლოდ მისი ღირებულებით. ჩვენ მიერ ზემოთ განხილულ ერთ-ერთ საქმეში, მართალია მითვისებული ლუდის ღირებულებ

ა 2 ლარსა და 30 თეთრს არ სცდებოდა, მაგრამ სასამართლომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის პიროვნება, ის რომ წინათ შეფარდებულმა სასჯელებმა ვერ უზრუნველყო დანაშაულის პრევენცია, პირის წარსული, ნასამართლობა და ა.შ. თუმცა ჩვენ მიგვაჩნია, რომ ზემოთ ხსენებულ საქმეში (N 2კ-339აპ.-05) ყურადღების მიღმა დარჩა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოება – სასმელების შესანახი ვიტრინის ჩამტვრევა, რომელიც რადიკალურად შეცვლიდა ზიანის ოდენობას.

ზემოთ განვითარებული მოსაზრების საპირისპიროდ სასამართლომ მცირე მნიშვნელობა დაადგინა ლითონის ქვაბების მითვისების შემთხვევაში, იმდენად რამდენადაც ქმედება არ იყო დამძიმებელი სხვა გარემოებებით. პირი არ იყო ნასამართლევ და ქმედების ჩადენის ფორმაც არ გახდათ ძალადობრივი.

ზიანის შეფასებისას არ აქვს მნიშვნელობა, ფაქტობრივად რამდენად გაიყიდა მოპარული ნივთი, მნიშვნელოვანია მისი რეალური საბაზრო ღირებულება. მაგალითად, ზემოთ განხილული სატრენაჟორო დარბაზის გაქურდვის საქმეში, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ნივთის ობიექტური ღირებულება და არა ის ფასი, რა ფასადაც ეს ნივთი გაყიდეს მსჯავრდებულებმა.

ზემოთ განხილულ საქმეებში სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ ქმედების მცირე მნიშვნელობისთვის ზიანის შეფასებისას არ ხდება მხოლოდ ზიანის მათემატიკური შეფასება. აუცილებლად უნდა შეფასდეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები ერთიანად, მათ შორის ჩადენილი ქმედების ხასიათი, სიმძიმე, მისი საზოგადოებრივი საშიშროება, პიროვნება, მისი წარსული, რამდენად იქნა მიღწეული სასჯელის მიზნები პირის მიმართ უკვე შეფარდებული სასჯელის კუთხით.

ცალკელ საქმეებში სასამართლო მსჯელობს ასევე იმაზე, რამდენად არის მითვისებული პროდუქტი საარსებოდ აუცილებელი პროდუქტი, შესაბამისად მცირე მნიშვნელობის შეფასებისას ამასაც შესაძ

ლოა ქონდეს მნიშვნელობა.

მაშასადამე საბოლოო ჯამში ქმედების მცირე მნიშვნელობის შეფასებისას სასურველია ვიხელმძღვანელოთ შემდეგი რეკომენდაციებით:

- ზიანის შეფასებისას გამოყენებულ უნდა იქნას სსკ-ით განმარტებული მნიშვნელოვანი ზიანის ოდენობა და შეფასების მომენტში არსებული საარსებო მინიმუმის ოდენობა
- ზიანის შეფასება შორს უნდა იყოს ყოველგვარო ფარდობით, სუბი-

ექტურ შეფასებებს, ზიანი ფასდება მისი ობიექტური ღირებულებით

- ზიანის შეფასებისას უნდა მოხდეს ქმედების ყველა გარემოების შეფასება, მათ შორის: დამამძიმებელი გარემოებები, ნასამართლობა, წარსულში ჩადენილი ქმედებები, წარსულში შეფარდებული სასჯელი, მოტივი, მიზანი, სუბიექტური მხარე, ქმედების ჩადენის ფორმა, ხერხი, დანაშაულის ჩადენის სტადია.

MAIN SPECIFICATIONS OF ASSESSING ACTIVITIES OF MINOR IMPORTANCE IN MODERN CRIMINAL LAW

Tatia Dolidze, PhD

European University, Associate Professor

KEYWORDS: Responsibility, Court, Harm

RESUME

The research includes the full and the detailed overview of assessing activities of minor importance in Georgian Criminal Law. The Article 7 of the Criminal Code of Georgia states the following: a crime shall not be an action that, although formally containing the signs of a crime, has not produced, for minor importance, the prejudice that would require criminal liability of its perpetrator, or has not created the risk of such harm. The research includes the main criteria of defining activities as activities of minor importance. The detailed review of Georgian case law is also introduced, as well as, legislation, judicial literature and experience of the other European countries.

NOTES:

1. Turava M. 2011 The doctrine of Crime, Tbilisi P.P. 323-325. (GEO)
2. Asworth A.2013, Principles of criminal law, p.p.50-52. (ENG)
3. National herald of Georgia, web site www.matsne.gov.ge (GEO)
4. Donjashvili T. 2002, General part of criminal law, p. 154. (GEO)
5. Donjashvili T. 2002, General part of criminal law, p. 154. (GEO)
6. National statistics office of Georgia, official web site: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/49/saarsebo-minimumi> (GEO)

7. Turava M. 2011 The doctrine of Crime, Tbilisi, P. 61. (GEO)
8. Turava M. 2011 The doctrine of Crime, Tbilisi, P. 62. (GEO)
9. Penal code of French Republic, p.p. 1 – Official link: https://www.legislationline.org/download/id/3316/file/France_Criminal%20Code%20updated%20on%2012-10-pdf (ENG)
10. Turava M. 2011 The doctrine of Crime, Tbilisi P.P. 315-316. (GEO)
11. Shavgulidze T. Surguladze L. 2002 Circumstances of General danger, Tbilisi, p.19-20. (GEO)
12. Tsereteli T. 2006 General danger and incriminating circumstances, p.p. 76-77. (GEO)
13. Decision of appellation chamber of district court, N №3 0115, Date: 2003. (GEO)
14. Georgian Supreme court Decision , 2002, N3 p.p. 257-259. (GEO)
15. Supreme court of Georgia, Case N 23-339 AP.-05, Decision N339 AP. Date: 2005. (GEO)
16. Supreme court of Georgia, Case 2K-386AP-04, Decision N386 AP. Date: 2005 (GEO)
17. Supreme court of Georgia, Case 2K-777AP.-, Decision N 777 AP. Date: 2007 (GEO)
18. Supreme court of Georgia, Case N 2K-556AP, Decision N556 AP-16AP, Date: 2017. (GEO)
19. Supreme court of Georgia, Case N 2K-164AP.-17, Date: 2017. (GEO)
20. Supreme court of Georgia, Case N 510Ap-17, Date: 2018. (GEO)
21. Supreme court of Georgia, Case N 154AP-18, Date: 2018. (GEO)

BIOBLIGRAPHY:

1. Turava M. 2011 The doctrine of Crime, Tbilisi.
2. Asworth A.2013, Principles of criminal law.
3. Donjashvili T. 2002, General part of criminal law.
4. Penal code of French Republic, Legilsationonline.
5. Shavgulidze T. Surguladze L. 2002 Circumstances of General danger, Tbilisi.
6. Tsereteli T. 2006 General danger and incriminating circumstances.
7. decision of appellation chamber of district court, N №3 0115, Date: 2003.
8. Georgian Supreme court decisions 2002.
9. Supreme court of Georgia, Case N 23-339 AP.-05, decision N339 AP. Date: 2005.
10. Supreme court of Georgia, Case 2K-386AP-04, decision N386 AP. Date: 2005.
11. Supreme court of Georgia, Case 2K-777AP.-, decision N 777 AP. Date: 2007.
12. Supreme court of Georgia, Case N 2K-556AP, decision N556 AP-16AP, Date: 2017.
13. Supreme court of Georgia, Case N 2K-164AP.-17, Date: 2017.
14. Supreme court of Georgia, Case N 510Ap-17, Date: 2018.
15. Supreme court of Georgia, Case N 154AP-18, Date.